მოსწავლეთა 71-ე სასწავლო-შემოქმედებითი

კონფერენცია

სექცია: ტურიზმი

თემა: ანტიკური წარსული და რესტავრირებული სილამაზე.

ქალაქი: ქუთაისი

ავტორები: გიორგი გაფრინდაშვილი, ალექსანდრე გელიაშვილი

სკოლა: სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი.

კლასი: XII

თემის ხელმძღვანელები: ელენე კოხრეიძე, ზინა ბუბუტეიშვილი

2016-2017 სასწავლო წელი.

გეგმა:

1.	**შესავალი**	**გვ. 1-2**
2.	**ყინწვისი**	**გვ.2**
3.	**სარკინეთი**	**გვ.3**
4.	**მერეს დედათა მონასტერი**	**გვ.3**
5.	**მძოვრეთის ციხე**	**გვ. 3-4**
6.	**უფლისციხე**	**გვ. 5-6**
7.	**დასკვნა**	**გვ. 6-7**

გამოყენებული ლიტერატურა:

1. *პ. ზაქარაია- საქართველოს ძველი სიხესიმაგრეები. გვ. 96*
2. *შუბითიძე, მაჭარაშვილი, ბოლქვაძე- ქართული ციხე-სიმაგრეები და ეკლესია-მონასტრები. გვ. 29*
3. *ჟურნალი „კარიბჭე“ 2015წ.*
4. *www.ambioni.ge*
5. *patriarchate.ge*
6. *. www.dzeglebi.ge*
7. *www.about.ge*
8. *novators.comoj.com*

საქართველო... რამდენჯერ შეგვისვამს ამ კურთხეული მიწის სადღეგრძელო და სასმელით გალაღებული გული სიამაყის გრძნობას აუვსია, თუმცა, ჩემთვის, ამ გრძნობას თან ახლავს რაღაც უცნაური სევდისა და სინანულის შეგრძნება. ძნელად თუ მოიძებნება დედამიწის ზურგზე მსგავსი ერთი მუჭა მხარე, მომცველი ყოველგვარი მშვენიერებისა, მრავალფეროვნებისა და სილაღისა. ერთი მუჭაა ჩვენი საქართველო, მაგრამ ძნელად თუ მოიძებნება(ან საერთოდ თუ მიძებნება)ადამიანი, რომელსაც ყველა მხარე, ადგილი თუ რეგიონი არათუ შესწავლილი, არამედ ნანახი მაინც ექნება. განა ეს დასანანი არ არის?! სწორედ ამ სინანულის გრძნობამ შემაყვარა მოგზაურობა და საქართველოს მხარეების მონახულება

მრავალირეგიონი მინახავს. მინახავს კახეთის გაშლილი მდელოები, აჭარის მთებიდან დავმტკბარვარ უსასრულო ზღვის ცქერით, დამინახავს ჭაღარა მყინვარწვერი, მილოცია თამარის ვარძიასა და დავითის გელათში და ყველგან ჩემს გულს გამალებით ძგერა დაუწყია. გასულ ზაფხულს გადავწყვიტე შიდა ქართლის მონახულება. ბრმა უნდა იყო ადამიანი, რომ ხეობის მშვენიერებამ არ წარგიტაცოს, უგრძნობი უნდა იყო, მისმა სიმშვიდემ რომ არ შეგძრას და უსისხლო უნდა იყო მისი ისტორიის მოსმენის შემდეგ სისხლი რომ არ გაგეყინოს.

შეუძლებელია პირველი ნახვით გამოწვეული გრძობები, ჯეროვნად გადმოიტანო ფურცელზე. ძალიან მინდოდა ჩემი გრძნობები მეგობრებისთვის გამეზიარებინა, ამიტომ როგორც შევძელი ლიცეუმში დაბრუნებისთანავე დაწვრილებით მოვუყევი მათ ამის შესახებ. დაინტერესება იმდენად მაღალი არმოჩნდა, რომ ყველა უყოყმანოდ დამთანხმდა თხოვნით მივსულიყავით ლიცეუმის დირექციასთან, რათა ჩვენი ექსკურსია დაეფინანსებინათ. როგორც მოსალოდნელი იყო, დირექცია დაგვთანხმდა და ოქტომბრის ერთ-ერთ დილას, ჩვენს მასწავლებელებთან, სერჟანტთან და ლიცეუმის მოძღვართან ერთად გეზი ავიღეთ ძამასკენ.

მარშრუტი ასე გამოიყურებოდა: ყინწვისი, სარკინეთი, მერე, მძოვრეთი და უფლისციხე. გზა მეტად დამღლელი და შორი ჩანს, დრო კი ძალიან ცოტა, ამიტომაც ყველა თავისებურად ჩქარობს. მიუხედავად იმისა, რომ მგზავრობა ყოველთვის დამღლელია, არავის ეძინება, ყველას თვალებში ცნობისმოყვარეობის ნაპერწკალი უელავს. და აი, ორ საათნახევრიანი მგზავრობის შემდეგ მივუახლოვდით ხეობას და გეზი ყინწვისისკენ ავიღეთ.

სანამ უშუალოდ ყინწვისის შესახებ გიამბობთ, მანამ მინდა ცოტა რამ ხეობის შესახებ გიამბოთ.ძამას ხეობა საინტერესო გეოგრაფიულ და ბუნებრივ პირობებში მდებარეობს. ამ ხეობაში ძლიერი ქარი არ ქრის, ჩაკეტილი ხეობაა და მიუხედავად იმისა, რომ სიმაღლე ზღვის დონიდან ზოგიერთ ადგილას 2 000 მეტრამდეც აღწევს,ბუნებრივი პირობები იძლეოდა იმის საშუალებას, რომ ეს ტერიტორია მჭიდროდ დასახლებული ყოფილიყო. ამაზე მეტყველებს მრავალრიცხოვანი ნასახლარი, თუ ნაეკლესიარი, რომლის საფუძველზეც ეს ხეობააღორძინდა. ბოლო პერიოდში აქიმდენად მასშტაბური მშენებლობები მიმდინარეობს,შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს მრავალრიცხოვან ხეობებს შორის ეს ხეობა ყველაზე მეტადაა გამორჩეული ისტორიული ძეგლებით, აღდგენილი თუ ახლადაშენებული ეკლესიების ოდენობით. ტაძრების ნაწილი აღდგენილია ძველ ისტორიულ ადგილას.[1]

ვახუშტი ბაგონიშვილი ძამის ხეობას საციციანოს მიაკუთვნებდა. ციციანთ გვარის მამამთავრის - ზაზა ფანასკერტელის ფრესკა დაცულია ყინწვისში. იგი მშენებლის პოზაშია და ხელში უჭირავს ტაძრის გეგმა. პლატონ იოსელიანი მოგვითხრობს, რომ მდინარე ძამის პირას 113 წელს მეფე მირდატმა ქალაქი ააშენა...X საუკუნეში აქ ყოფილა რეზიდენცია ძამის მთავრის - ადარნასესი, რომელსაც მონაწილეობა მიუღია საქართველოს სამთავროების გაერთიანებისთვის ბრძოლაში. ძამის ხეობა თამარ მეფის დროს მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სახელმწიფოს პოლიტიკურ-კულტურულ ცხოვრებაში.'ძამის ხეობის

ახალ მფლობელს, ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილს რეზიდენციად აურჩევია ძველი ნაქალაქარი მძოვრეთი, სადაც იყო მრავალი ძველი ციხე. (მას ეკუთვნოდა „ზაზასეული ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი.)[2]

ეს ადგილი იმითაცაა გამორჩეული, რომ ხეობაში 42 მოქმედი მონასტერია. ძამას ხეობაში ტაძრები აგებულია სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში და მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან. პირველი ეკლესიის მშენებლობა თარიღდება VI_VIIსაუკუნეებით. აღმშენებლობა განსაკუთრებით XIII საუკუნეში გაძლიერებულა და სამონასტრო კომპლექსით დამშვენებულა.[3] მათ შორის უდაოდ გამორჩეული, ჩვენი პირველი გაჩერება, ყინწვისია. შუძლებელია პირველად მონასტრის ეზოში შესვლისას, რაღაც უჩვეულო მოწიწებისა და სიხარულის გრძნობა არ დაგეუფლოს.ეს გრძნობა, კი ენითაღუწერელია, როდესაც მონასტერს დაინახავ. თითქოს შეშდები, მოძრაობისა და სმენის უნარი მთლიანად გერთმევა და ერთადერთი რისი კეთებაცშეგიძლიაუსიტყვოდ ცქერაა ამ საოცრების.წელიწადის ნებისმიერ დროს აკვირვებს მნახველს მისი ბუნება, მაგრამ ვერაფერი შეედრება შემოდგომის ბუნებას, როცა ირგვლივ ყველაფერს ოქროსფერი სამოსი ჩაუცვამს და თავზე მონასტრისთვის შესაფერისი მყუდროება დაუბურავს.

მონასტერი XII-XIII საუკუნეებშია აგებული. სამონასტო კომპლექსის მთავარი ნაგებობაა წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესია. გამორჩეულია მონასტრის მხატვრობა. საკურთხევლის მხატვრობა სამ რეგისრტრად იყოფა. მის კედლებზე შეხვდებით არაერთ წმინდანსა თუ ბიბლიურ სცენას, თუმცა მათი დიდი ნაწილიდაზიანებულია. აქ წარმოდგენილია ფერთა ფართო სპექტრი, სადაც ჭარბობს ღია მწვანე, ოქროსფერი, მოწითალო-მოყავისფრო და ლაჟვარდოვანი ცისფერი. ფრესკების დიდი ნაწილი გადარეცხილია. საკურთხეველში მთავარ ფრესკას წარმოადგენს ღვთისმშობელი ყრმით და ორი მთავარანგელოზით.[4] გარდა ამისა ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია მთავარანგელოზის, გიორგი III-ის, თამარ მეფისა და ლაშა-გიორგის ფრესკებმა. მთავარანგელოზის ფრესკა იუნესკოს სიაშიცაა შესული.ვუცქედი და ვერ წარმომედგინა, რომ ასეთი საოცრება 9 საუკუნის წინ შექმნილა. მამა დავითთან ერთად ამ დიდებულ ტაძარში საჯამრთელო პარაკლისი გადავიხადეთ, ზეთი ვიცხეთ და რამდენიმე რჩევაც მივიღეთ ჩვენი მოძღვრისაგან.

1.www.ambioni.ge › ეკლესია-მონასტრები 3.patriarchate.ge

2. ჟურნალი „კარიბჭე“ 2015წ. 4. www.dzeglebi.ge

ეზოში კიდევ ერთხელ გადავავლეთ თვალი ამ საოცარ ბუნებას და სამახსოვრო ფოტოებიც გადავიღეთ. ამის შემდეგ ემოციებით დატვირთულებმა გავსწიეთ სარკინეთისაკენ.

სარკინეთის მამათა მონასტერი მეუფე იობის რეზიდენციაში მდებარეობს. ის შიო მღვიმელის სახელობისაა და თავისი ორიგინალურობით გამოირჩევა. მონასტერი მთლიანად კლდეშია გამოკვეთილი, რაც განსაკუთრებულ მშვენიერებას ანიჭებს. თავად სახელი მან კლდის ქანების სიმტკიცის გამო მიიღო. კლდის გამოჭრა იმდენად რთული აღმოჩნდა, რომ ვიღაცას რკინისთვის შუდარებია, ამიტომაც „სარკინეთი“ დაურქმევიათ.[1] გამოვიყენეთ შანსი და ყველამ ჩვენი სურვილის ასრულება მამა შიოს შევთხოვეთ. არც სამახსოვრო ფოტოების გადაღების სიამოვნება მოგვიკლია, ასეთ ადგილს ხომ ხშირად ვერ შეხვდები სხვა ადგილას. კიდევ უფრო აღტკინებულებმა გეზი ამჯერად მერეს დედათა მონასტრისაკენ ავიღეთ.

მერეს დედათა მონასტერი არც თუ ისე დიდ ისტორია ითვლის. ის ერთ-ერთია ხეობაში მოქმედი 42 მონასტრიდან. საკმაოდ სადაა, თუმცა როგორც კი მიუახლოვდები მის კარებს მაშინვე იგრძნობ აქ გამეფებულ სიმშვიდესა და მადლს. მოვილოცეთ ეკლესია და გავესაუბრეთ რამდენიმე დედაოსაც. ჩვენდა

გასახარად აქ საკმაოდ მრავლად იყვნენ მონაზვნები და რაც მთავარია მათი დიდი ნაწილი საკმაოდ ახალგაზრდანიც . დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რომ არაფერია იმაზე ლამაზი, როგორც დაჩოქილი და მხურვალედ მლოცველი მანდილოსანი, რომლის სანთლის შუქით განათებულ სახეზეც უდიდესი მადლი და ღვთის სიყვარული გამოსჭვივის.

წამოსვლამდე დედაოებმა დედობრივი სიყვარულით დაგვლოცეს და ჩვენც მძოვრეთში წავედით.

მძოვრეთის ციხეს მეტად საინტერესო და ვრცელი ისტორია გააჩნია. მდებარეობდა სტრატეგიულად მოხერხებულ ადგილზე – იგი იცავდა შიდა ქართლიდან სამხრეთ საქართველოსკენ მიმავალ მნიშვნელოვან გზას. ისტორიულ წყაროებში ციხეს პირველად `მატიანე ქართლისაის~ ავტორი იხსენიებს დემეტრე აფხაზთა მეფისა (967-975 წწ.) და მისი ძმის თეოდოსს შორის წარმოებულ ბრძოლებთან დაკავშირებით. თეოდოსმა დახმარება სთხოვა ძამის ხეობის გამგებელს ადარნასეს. ძამის მთავარმა თავის რეზიდენციაში – ძამის ციხეში შეიფარა თეოდოსი. „მაშინ დემეტრე მეფემან მიგზავნა ლაშქარი თვისი, მოადგეს ციხესა ძამისასა და ჰბრძოდენ სამ თუე ოდენ" ბოლოს ადარნასე ძამელი და თეოდოსი იძულებულები გახდნენ დანებებოდნენ დემეტრეს.[2] ციხე-დარბაზს ფერდობის ძირას გრძელი მონაკვეთი (75 X 180 მ) ეკავა და შემოვლებული ჰქონდა გალავანი. ნაგებობები შევაკებაზე იყო განლაგებული. შემორჩენილია გალავნის ჩრდილოეთის ნაწილი მთელ სიგრძეზე და ნაწილობრივ აღმოსავლეთის და დასავლეთის მხარეები. გალავანს ჭიშკარი დასავლეთით ჰქონია, ხოლო მეორე კარი ჩრდილოეთით (ეკლესიასთან).

---

1. www.ambioni.ge

2. www.about.ge

ციხე-დარბაზის აგება უშუალოდ დაკავშირებულია XVII საუკუნის დასაწყისში. ციციშვილთა საფეოდალოს ცენტრის სამწევრისიდან მძოვრეთში (ზოვრეთი) გადმოტანასთან.

სასახლე გრძელ სწორკუთხედს წარმოადგენს, რომლის შიგნით დარბაზები და სხვადასხვა ზომის ოთახებია განლაგებული. სასახლე ერთსართულიანი უნდა ყოფილიყო, კარგად შელესილი კედლები გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა, კედლები მოხატული ყოფილიყო.

ანსაბლზე გაბატონებული ყოფილა შვიდსართულიანი კოშკი, რომელიც გათვალისწინებული იქნებოდა როგორც საცხოვრებლად, ისე თავდაცვისთვის. [1]

ანსაბლში შემავალი ე.წ ფეოდალის კარის ეკლესია, საშუალო ზომის ერთნავიანი ნაგებობაა და ტიპურია გვიანი საუკუნეებისთვის. დასავლეთით მასზე მიდგმულია სამრეკლო, პირველი სართული სამი მხრივ ღიაა თაღებით და თავისთავად კარიბჭის როლს ასრულებდა. მეორე სართული დარაჯის საცხოვრებელს წარმოადგენდა, ხოლო მესამე-ღია ფანჩატური-სამრეკლო.[2]

მერედან მძოვრეთამდე საკმაოდ რთული და დამღლელი გზის გავლა ფეხით მოგვიწია, თუმცა მოლოდინის და ცნობისმოყვარეობის გრძნობა დაქანცულობის გრძნობას ჯობნიდა. თითქოს ახალი და ახალი ენერგია გვეძლეოდა. რაც უფრო ვუახლოვდებოდი ციხეს მით უფრო მაკვირვებდა მისი მშვენება, სიდიადე და

მედიდურობა. ერთ მომენტში როდესაც გავჩერდი ვერც კი დავიჯერე, რომ ასეთი საოცრების აგება რამდენიმე საუკუნის წინ შეძლეს, თანაც ისე ,რომ დღესაც იწვევს ჩემს გაკვირვებას.

რამდენიმე წუთში მთელი გზა გავიარეთ და შევდგით ფეხი გალავანში. გალავანი მეტად მჭიდროდ არის ნაგები. ამაზე მოწმობს როსტომ ციციშვილისა და როსტომ მეფის ბრძოლა XVII 30-იან წლებში, როდესაც მეფის ცდის მიუხედავად ზარბაზნებმა ციხეს ვერაფერი დააკლეს.[{3}] ჩვენი უდიდესი გაკვირვება გამოიწვია იმან,რომ ციხე თურმე თითქმის მთლიანად დამარხული ყოფილა და ახლაც არაა დამთავრებული მისი სრული გაწმენდა. მამაოსთან ერთად მოვინახულეთ ციხის ეკლესია და სხვა ნაგებობები, მაგრამ ჩემთვის უდიდესი შთაბეჭდილება, რომელიც არასდროს დამავიწყდება იყო კოშკიდან ბუნებით ტკბობა. თითქოს მთელმა საქართველომ ერთ ადგილას მოიყარა თავი და ჩემს თვალწინ გადაიშალა, თავი ამ მშვენიერების ნაწილად ვიგრძენი და ყველა გრძნობა სიყვარულის და სიამაყემ დაფარა.ვიდექით ამდენი ქართულ სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ბიჭი იმ ადგილას, სადაც საუკუნეების წინ აბჯარასხმული ქართველი რაინდები მედგრად იგერიებდნენ მტერს. ყველანი სულგანაბულნი ვუსმენდით იქ მყოფი ბერების მიერ მონათხრობ ციხის ისტორიას. ერთერთმა მათგანმა სიხარულით აღნიშნა, რომ ამდენი წლის შემდეგ კარიბჭეში კვლავ შემოაბიჯეს ფორმით დამშვენებულმა ყმაწვილებმა და ღვთის შეწევნით აღესრულა პარაკლისი.

---

1. პ. ზაქარაია- საქართველოს ძველი სიხესიმაგრეები. გვ. 96

2.www.about.ge3. შუბითიძე-ქართული ციხე-სიმაგრეები და ეკლესია-მონასტრები.

გახალისებულებმა და ემოციებით დატვირთულებმა, სინანულით და გულისწყვეტით დავტოვეთ ქართული ხუროთმოძღვრების ეს შესანიშნავი ნიმუში და ამჯერად გეზი უფლისციხისკენ ავიღეთ.

საქართველოში სამი უდიდესი კლდეში ნაკვეთი კომპლექსი არსებობს: უფლისციხე, დავით გარეჯი და ვარძია. ამათგან უძველესი უფლისციხეა.უფლისციხე საქართველოში ანტიკური ხანის ერთადერთი ძეგლია, რომელიც ამჟამად მიწის ზემოთაა შემორჩენილი. იგი წარმოადგენს ანტიკურ ქალაქს, რომელიც კლდეშია ნაკვეთი და აქვს ქუჩები, მოედნები, წყალსაწრეტი არხები, სხვადასხვა ნაგებობები, ოთხი კარიბჭე, მტკვარზე ჩამავალი საიდუმლო გვირაბი, გალავანი და სხვა...არსებობს ლეგენდა, რომ უფლისციხე მცხეთოსის შვილს უფლოსს მონების მიერ აუგია. მონას აძლევდნენ წერაქვს, რომლის პირიც უბრალო ლითონის იყო დაფარული, ხოლო შემდეგ ძვირფასი ლითონი მოდიოდა. მონას ისე უნდა ემუშავა, რომ გაეცვითა უბრალო ლითონი, მერე საჩუქრად თავისუფლებას და ძვირფას ლითონს იღებდა.[1] არქეოლოგიური მასალები ამტკიცებს, რომ აქ მოსახლეობა ძვ. წ. XVI-XV სს.-ში უკვე ცხოვრობდა, ხოლო ძვ.წ. X-VIსს.-ში უკვე სატაძრო ქალაქია, ახ.წ. I-III სს.-ში კი უკვე მნიშვნელოვანი სამხედრო-სტრატეგიული და ამავდროულად მნიშვნელოვანი წარმართული საკულტო ადგილია.უა საუკუნეებში უფლისციხე აყვავებული ციხექალაქია, მისი მოსახლეობა 20 000 კაცს აღწევს. მონღოლთა შემოსევების დროს (XIIIს.) ძლიერ დაზიანდა, ამის შემდეგ უფლისციხე, როგორც დიდი და ძლიერი ქალაქი აღარ არსებობდა. ნაქალაქარში შემორჩენილი ანტიკური ხანის კლდეში ნაკვეთი დარბაზები და ნაგებობები გამოირჩევა გეგმარებისა და არქიტექტული ფორმების გეომეტრიული სიზუსტით.[2] ანტიკური თეატრონი (კესონებიანი დარბაზი) მდებარეობს ნაქალაქარის სამხრეთ-დასავლეთ კიდეზე. თარიღდება ახ.წ. II საუკუნით. მისი ჭერი დახვეწილი ორნამენტებითაა მორთული, შუაში არის სცენა, უკან იყო მაყურებელთა დასაჯდომი ადგილი, რომელიც 1920 წლის მიწისძვრამ დაანგრია. უფლისწულის ეკლესია, რომელიც ციხექალაქის ჩრდილოეთ ნაწილში დგას, Xს.-ის II ნახევარშია აგებული, სახელი უნდა

ვივარაუდოთ, რომ მოდის თვით ქალაქის სახელიდანაც და ასევე უფლის სახელიდანაც.აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ეკლესია ყოველგვარი საძირკვლის გარეშე თავად კლდეზეა აგებული [3]

და 1920 წლის მიწისძვრას გაუძლო. ამბობენ, რომ მშენებლობაში კვერცხის გულსაც იყენებდნენ, რაც კედლებს სიმტკიცეს აძლევდა.[4]

როგორც ვხედავთ უფლისციხეს საკმაოდ მდიდარი წარსული გააჩნია. მისი სიდიადე ერთი დანახვითაც შესამჩნევია.დავდიოდით იმ მიწაზე სადაც უამრავ სისხლს უღენია, ფეხს ვადგამდით იმ ადგილს, სადაც ქართველ მეფეთ დაუდგამთ და ვლოცულობდით იმ ტაძარში, სადაც ქართველ წმინდანებს ულოციათ.

---

1. www.ambioni.ge 3. novators.comoj.com

2. www.dzeglebi.ge 4. novators.comoj.com

თითოეული ჩვენგანი სიამაყის გრძნობით ვუსმენდით გიდის მონათხრობს უფლისციხის ისტორიისა და გმირთა შესახებ. განსაკუთრებით დამაინტერესებელი იყო ის მონაკვეთები, სადაც საუბარი უფლისციხის თავს დატეხილ ბრძოლებს შეეხებოდა და ამ დროს მხოლოდ ერთი ლექცი მაგონდებოდა:

უფლისციხესთან
სისხლისფერიყაყაჩოსწვეთი
არადაღვრილის -
დასაღვრელის, ალბათ, მაცნეა...
არავითარი
სხვასამშობლოამაზემეტი
არგამაჩნია!

ჩვენ განსაკუთრებით გაგვახარა იმ ფაქტმა, რომ აქ უამრავი დამთვალიერებელი იყო. მათშორის აბსოლიტური უმეტესობა უცხოელი ტურისტები იყვნენ. გავიცანით არერთი თურქი, სომეხი, უკრაინელი, გერმანელი თუ ამერიკელი. ისინი იღებდნენ სურათებს, ყიდულობდნენ სამახსოვრო სუვნირებს და ეცნობოდნენ, როგორც უფლისციხის, ისე სრულიად საქართველოს ისტორიას.

სამწუხაროდ დღეც მიიწურა და დამთავრდა ეს შესამიშნავი, დამამახსოვრებელი და დაუვიწყარი ექსკურსია ამ დალოცვილ და ულამაზეს მხარეში. ყველას უზომოდ დაგვწყდა გული. ვინ იცის კიდევ რამდენი რამის ნახვა, გაგება და გაცნობა ვერ მოვასწარით. სანახავი კი მართლაც ბევრია ამ ერთ მუჭა მხარეში. მაგალითად ოშკი, შატბერდი, ბატეთის ტბა, ორთუბნანი, ქოზიფა თუ სხვა რელიგიურ-ისტორიული ძეგლი. ამ ყველაფრის მონახულება ერთ დღეში შეუძებელია, თუმცა ერთი დღის კვალობაზე საკმაოდ ბევრი შევძელით.

დასაწყიში, როდესაც ამ პროექტს ვგეგმავდით და გავიგეთ იმ ღირსშესანიშნაობების შესახებ, რომლებიც ამ ხეობაში უნდა გვენახა და რომლის ნახვასაც სამწუხაროდ ვერ მოვახერხებდით, ჩვენი გაოცება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ არაერთ მონასტერს (ტბეთი, ბანა, ოპიზა, შატბერდი) ტაო-კლარჯეთში არსებული მონასტრების სახელები ჰქვია. ეს უცნაურად გვეჩვენა, თუმცა პირადად ჩემთვის ექსკურსიის დასრულების შემდეგ ყველაფერი ნათელი გახდა. დღევანდელი ძამას ხეობა, ხომ ზუსტად იმავე როლს თამაშობს, როგორსაც თამაშობდა IX-X საუკუნეებში ტაოკ-ლარჯეთი. ძამას თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ ქართული ქრისტიანობის გული და კერა, კერა, რომელიც ჯერ კიდევ ახლა ღვივდება და ალბათ, სულ მალე მგზნებარე კოცონად გადაიქცევა.

სიმბოლურია ისიც , რომ ქვეყნის რელიგიური გული და ფუნდამენტი, სწორედ საქართველოს დასაყრდენ მხარეში (როგორც მოიხსენიებს მ. ჯავახიშვილი ქართლს) მდებარეობს.

მინდა ავღნიშნო ის ფაქტიც, რომ სადაც კი მივედით, იყო ეს ყინწვისი, მერე, სარკინეთი თუ მძოვრეთი, ყველგან მიმდინარეობდა აქტიური სამუშაოები. კერძოდ, კი იგებოდა მონასტრებებამდე მისასვლელი გზები, მიმდინარეობა ეზოების კეთილმოწყობა და შენობების რეკონსტრუქცია, რაც, ჩემი აზრით, დიდი რაოდენობით მოიზიდავს დამთვალიერებელს, როგორც საქართველოდან, ასევე მის საზღვრებს გარედან. ეს პროექტი, კი იმედი მაქვს ხელს შეუწყობს ამ მხარეს პოპულარიზაციას.

ამ დამღლელი, თუმცა საინტერესო დღის შემდეგ, როდესაც კვლავ ლიცეუმში ვბრუნდებოდი ვფიქრობდი, თუ რაოდენ მრავალფეროვანი და საინტერესოა ეს ჩვენი პატარა საქართველო, რამდენი რამეა ჯერ კიდევ აღმოსაჩენი და შესაცნობი. საჭიროა დიდი მასშტაბით სამუშაოების ჩატარება თითეული მხარის პოპულარიზაციის მიზნით, ვფიქრობ, სირცხვილია ასეთი ქვეყნის პატრონებს ოცნებად სხვა ქვეყნების მონახულება რომ გვაქვს ქცეული, სხვაგან ვეძებთ სამოთხის მაგვარ ხედებსა და გარემოს, როცა ღვთისმშობლის წილხვედრი ედემის ბაღი აქვე გვაქვს.

დასასრულს მინდა დავამატო თემის ერთ-ერთი ავტორის ლექსიდან ნაწყვეტი

„ უბრალოდ ერთი ქართველი

და ქრისტიანი ბიჭი ვარ!

ფორმა ჩავიცვი მეომრის

ქვეყნის დამცველად მივდივარ...“